



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N21

ქ.ლანჩხუთი

16.12. 2016 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, საფეხბურთო კლუბ ლანჩხუთის „გურია“-ს ვეტერანი ფეხბურთელები: ჯემსუატი ურუშაძე, შოთა პატარაია, ომარ პერტენავა, ვაჟა ცინცაძე, ჟორა ჭყონია, როინ ნარიშვილი, ფეხბურთის გულშემმატკივართა კლუბის ხელმძღვანელი ჯანო ქინქლაძე და მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ საკრებულო შეიკრიბა რიგგარეშე სხდომის ფორმატში. რეგლამენტის 52-ე მუხლის შესაბამისად 2016 წლის 15 დეკემბრის რიგგარეშე სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო გადაიდო მომდევნო დღისთვის. ამასთან, N178-ე ბრძანებით, 16 დეკემბერს დანიშნული იყო რიგგარეშე სხდომა. ამდენად, სრულიად მართებულია, რომ სხდომა გაიხსნას გაერთიანებული დღის წესრიგით. სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 2016 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილება. აქვე საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იწყება ადმინისტრაციული წარმოება. გამგეობიდან წარმოდგენილი იქნა დამატებითი განმარტებითი ბარათი საკითხთან დაკავშირებით. ასევე, მიმდინარე სხდომაზე მოსმენილ იქნება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს ხელმძღვანელობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ამასთან, საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომას ესწრებიან ლანჩხუთის „გურია“-ს ვეტერანი ფეხბურთელები და მიესალმა მათ. იქვე განმარტა, რომ ისინი ოფიციალურად არიან მოწვეულები, ამიტომ მათ შეუძლიათ სხდომაზე აზრის გამოთქმა. სხდომათა დარბაზში ასევე იმყოფებიან სპორტისა და ფეხბურთის ქომაგები, მაგრამ სხდომაზე საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება მხოლოდ დეპუტატების მხრიდან ნებართვის შემდეგ შეეძლება, რაზეც საკრებულოს წევრებმა თანხმობა განაცხადეს.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა დეპუტატი გურამ კერესელიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „გურია“-ს ხელმძღვანელობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.“

/მომხსენებლები: ოთარ ჩხაიძე, თენგიზ კიკვაძე, ედიშერ ჟორდანია/

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწამემ** აღნიშნა, რომ მე-2 საკითხზე დღის წესრიგით მომხსენებლებად წარმოდგენილები არიან ოთარ ჩხაიძე, თენგიზ კიკვაძე და ედიშერ ჟორდანიას, მაგრამ გუნდის პრეზიდენტი იყო მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ არაა გათვალისწინებული გამგებელი მომხსენებლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე მართალია იყო კლუბის პრეზიდენტი, მაგრამ 29 აგვისტოდან ამ თანამდებობაზე აღარ იმყოფება, შესაბამისად საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელიც ვერ იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გუნდთან დაკავშირებით არსებულ ყველა კითხვას შეძლებისდაგვარად გაეცემა პასუხი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ კლუბის პრეზიდენტობა სიმბოლური თანამდებობაა. ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებისას ის პრეზიდენტობიდან გადადგა, რადგან 4 თვის განმავლობაში იყო პარტია „ქართული ოცნები“-ს რაიონული ორგანიზაციის შტაბის უფროსი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** დარბაზში მყოფთ მოუწოდა სიმშვიდისა და კორექტულობისკენ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ის თავის თავზე იღებს 15 დეკემბრის სხდომაზე მომხდარი ინციდენტის პასუხისმგებლობას და როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თავს ვალდებულად თვლის ამასთან დაკავშირებით საკრებულის წევრებს ბოდიში მოუხადოს.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა - შენახვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 387734 ლარით და შემცირდეს ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების მუხლი 20885 ლარით, რომელიც უნდა აისახოს როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების 11 თვის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა შემცირდეს გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 13900 ლარით, ასევე გამგეობის შრომის ანაზღაურების მუხლი 11500 ლარით, სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის საქონელი და მომსახურების მუხლი 5000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2000 ლარით, გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი 2300 ლარით, ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა ნაგებობაში დახარჯული წყლის ღირებულების ხარჯი 2800

ლარით. შემცირების ხარჯზე გაიზარდოს გამგეობის შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდის დაფინანსება 1000 ლარით, ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის 7500 ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2400 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის 6000 ლარით, ა(ა)იპ უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის 1000 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის ცენტრის 1200 ლარით. 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 20408 ლარით და შემცირდეს ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების მუხლი 1099 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 13630 ლარის და ვალდებულების კლების 1623 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუფსიდის მუხლის დაფინანსება 15253 ლარით, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 4607 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდის მუხლი 4607 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 26395 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდის მუხლი 26395 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს დეპუტატების მიერ წამოყენებული მოთხოვნები, რაზეც გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ გამგეობის მიერ შემოტანილ განმარტებით ბარათში გათვალისწინებულია ყველა მოთხოვნა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ საკრებულოს ყველა კომისიამ და ფრაქციამ განიხილოს აღნიშნული საკითხი, მაქსიმალურად დაამუშაოს და შეძლებიდაგავარად დახვეწოს იგი.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, როგორც ცნობილია, 2016 წლის წლის ბიუჯეტის სეკვესტრი და პროექტების შემცირება გამოიწვია ბუნებრივი მოსაკრებლების მწირმა შემოსავალმა, რადგან ინერტული მასალების მომპოვებელ კომპანიებს არ აქვს ვალდებულება პირდაპირ ერთი წლის განმავლობაში შეიტანონ ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადი. ამასთან, კარიერები თითქმის არ მუშაობენ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გამო კომპანიას არ ეძლევა საშუალება შევიდეს ობიექტზე და სრული დატვირთვით განახორციელოს დაკისრებული სამუშაოები. მხოლოდ ნიგოთის ზონაზე ორი კარიერია და ორივეს პრობლემები აქვს მოსახლეობასთან სამუშაოების შესრულების კუთხით. დეპუტატის აზრით, აუცილებელია არსებულ პრობლემასთან სახელმწიფოებრივი მიდგომა - ხალხთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიღწევა. ძალადობრივი გზით პრობლემის მოგვარება ვერ მოხერხდება. მან, თავის მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებას შესთავაზა დახმარება ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპანიის მესვეურებს შორის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რადგან შეთანხმების მიღწევით გაკეთდება საქმე, რაც სახელმწიფოს და ხალხს გამოადგება. შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტშიც გაიზარდება შემოსავალი, რაც საწინდარი გახდება მთელი რიგი პრობლემების მოგვარებისა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ პირადად რამდენჯერმე იმყოფებოდა შეხვედრაზე. ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამს შიშს, რომ ინერტული მასალების მოპოვებითი სამუშაოების ჩატარებისას ზიანდება სასაფლაო,

მაგრამ კომპანიის მესვეურების განმარტებით, ამის საშიშროება არ არსებობს. პირიქით, ისინი ადგილობრივ მოსახლეობას დაპირდნენ გარკვეული პრობლემების მოგვარებას, მათ შორის გზის გაკეთებას. მიუხედავად ამისა, ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა ხალხსა და კომპანიას შორის. ამასთან, გამგებელმა აღნიშნა, რომ თავის მხრივ, მიესალმება დეპუტატ კახაბერ ასკურავას მიერ დახმარების შეთავაზებას მოლაპარაკების შედეგიანად დამთავრების მისაღწევად.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ ის ვერ დაეთანხმება დეპუტატ კახაბერ ასკურავას მიერ გამოთმულ აზრს, თითქოს ადგილობრივ მოსახლეობას ვინმე შეგნებულად მოუწოდებს ძალადობისკენ. დაახლოებით, 2 თვეა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხალხსა და კომპანიის მესვეურებს შორის და ამ დროისთვის ნელ - ნელა ხერხდება პრობლემის მინიმუმამდე დაყვანა.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, რაც ფრაქცია „მაჟორიტარებს“ ჰქონდათ. ამასთან, დეპუტატმა განაცხადა, რომ საკრებულოში შეკრებილია როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიცია. ყველას აქვს უფლება სხდომებზე გამოთქვას საკუთარი აზრი, მაგრამ აუცილებელია სახელმწიფოებრივად აზროვნება. ის ყოველთვის დღევანდელი ხელისუფლების კურსის მომხრე იყო, ამიტომ თხოვნით მიმართა კოლეგებს, რომ თავი შეიკავონ ერთმანეთისთვის „იარლიყების“ მიკერებისგან. ასევე, მან აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საკითხს, მაგრამ, როგორც სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პასუხი უნდა მიიღოს გარკვეულ საკითხებზე. კერძოდ, ეკონომიის ხარჯზე სუფსის ცენტრში უნდა დაგეგულიყო ასფალტის საფარი, ასევე იყო დაპირება სხვა პრობლემების მოგვარებაზე, მაგრამ - ამაოდ.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძის** გამოსვლას დეპუტატ კახა ურუშაძის მხრიდან მძაფრი აგრესიის გამოხატვა მოჰყვა, რის გამოც მან საკრებულოს თავმჯდომარისგან ოფიციალური შენიშვნა დაიმსახურა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ არქიმანდრიტ ანდრიას მხრიდან არის თხოვნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტით გამოყოფილი თანხით აღმართებსა და მიუვალ ადგილებში გაკეთდეს ბეტონის გზა. ამ ეტაპზე მონასტრისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია. პროექტის განხორციელება მართალია, მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა, მაგრამ ის ჩასმულია 2017 წლის პირველ კვარტლის გეგმაში.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - ებმა წარმოადგინეს მოთხოვნები გარკვეული ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ საკრებულოს კომისიებისთვის მიწოდებულ იქნას ეს მოთხოვნები. ასევე, გაირკვეს, რომ ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფის შემდეგ, დარჩება თუ არა რომელიმე ა(ა)იპ - ი ფინანსური პრობლემის წინაშე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 79 (16.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ხელმძღვანელობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“ სხდომას გააცნო საფეხბურთო კლუბ „გურიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ოთარ ჩხაიძემ**. მან პირველ რიგში აღნიშნა, რომ თითოეული ლანჩხუთელისთვის ძალიან მტკივნეულია კლუბ „გურია“-სა და ზოგადად, ქართულ ფეხბურთში არსებული მდგომარეობა. 2016 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო კლუბებისთვის, რადგან ჩატარდა ორი ჩემპიონატი. ახლად არჩეულმა ფეხბურთის ფედერაციამ ჩათვალა, რომ 16 გუნდი ბევრია და გადავიდა 10 გუნდიან სისტემაზე. შეიმუშავა განსაკუთრებული დებულება და ჩაატარა მიკრო - ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში მოთამაშე 10 გუნდის შესარჩევად. რაც შეეხება კლუბში მიმდინარე საქმიანობას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე დაახლოებით სამჯერ მოეწყო - სამი, ექვსი და ცხრა თვის მუშაობის შედეგების შესახებ ანგარიშის განხილვა. როგორც განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, კლუბში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფინანსური საკითხი და მენეჯმენტი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ ჩატარდა მიმდინარე ჩემპიონატი, ამიტომ უმჯობესია მიმდინარე სხდომა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართოს.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** შემოვიდა წინადადებით, რომ კლუბის თითოეულ დირექტორს ძალიან მოკლედ მიმოეხილა გუნდში არსებული პრობლემები და ამის შემდეგ დაესვათ დეპუტატებს შეკითხვები. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბოლოსდაბოლოს გულახდილად უნდა ითქვას, თუ რამ მიიყვანა კლუბი ამ მდგომარეობამდე. საჭიროა ჩამოყალიბება, მსჯელობა და იმ გზების დასახვა, რომელიც დაეხმარება გუნდს არსებული მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის მოძიებაში.

საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ, **ელგუჯა ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ თითოეულმა დირექტორმა უნდა გასცეს დასმულ შეკითხვებს არა ზოგადი, არამედ კომპეტენტური და ამომწურავი პასუხი. მის გამოსვლას ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილის, ნუგზარ ცინცაძის მხრიდან ხმაური და უკმაყოფილება მოჰყვა, რადგან მისი აზრით, ფრაქციის წევრებს ამ თემასთან დაკავშირებით შეკითხვების დასმის უფლება არ აქვთ. საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მას წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა და გაფრთხილება მისცა. ამასთან, განმარტა, რომ არავის აქვს უფლება არეულობა შეიტანოს საკრებულოს სხდომის მსვლელობაში. ნუგზარ ცინცაძეს შეუძლია გულშემატკივრების კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას დააფიქსიროს თავისი აზრი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მას ხელთ აქვს ოფიციალური მონაცემები, რომლის მიხედვითაც საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს დაფინანსებამ შეადგინა: 2009 წელს - 224 980 ლარი, 2010 წელი - 150 000 ლარი, 2011 წელი - 260 000 ლარი, 2012 წელი - 478 000 ლარი, 2013 წელი - 632 482 ლარი, 2014 წელი - 972 991 ლარი, 2015 წელი 1 510 000 ლარი, 2016 წელი - 626 880 ლარი. ამასთან, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდს მიმდინარე წელს ჩაერიცხა 535 113 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები სრულადაა დაფინანსებული. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით 1 ოქტომბრის მდგომარეობით დავალიანება დაფიქსირებულია 555 580 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეს თანხა ძალიან მცირეა გუნდისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგაში თამაშობს, რაზეც **რომან ბიწაძემ** უპასუხა, რომ გაცილებით ნაკლები დაფინანსების მქონე გუნდებმა ადგილი შეინარჩუნეს უმაღლეს ლიგაში. მისი აზრით, ბიუჯეტის თანხების გაფლანგვა სისხლის სამართლის დანაშაულია.

კლუბ „გურიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ოთარ ჩხაიძემ** განაცხადა, რომ დარბაზში მყოფთაგან ბევრს აქვს სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, რასაც დამსწრეთა მხრიდან ხმაური და უკმაყოფილების გამოხატვა მოჰყვა.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** მიმართა ოთარ ჩხაიძეს, გრძნობდა თუ არა პასუხისმგებლობას მის მიერ გამოთქმული ბრალდების გამო და მოითხოვა დამნაშავის დასახელება. აღმასრულებელმა დირექტორმა ამასთან დაკავშირებით ბოდიში მოიხადა. იქვე განმარტა, რომ გაცხარდა და კონკრეტულად არავინ უგულისხმია.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, როგორც საკრებულოს წევრი, ბოლო 3 წლის განმავლობაში საფეხბურთო კლუბისთვის გამოყოფილ თანხებზე ისიც იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას, მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა უამრავი კითხვა გააჩინა. უნდა გაირკვეს, როგორ დაიხარჯა გამოყოფილი თანხები და რატომ გავარდა გუნდი უმაღლესი ლიგიდან.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ უცხოეთიდან ჩამოყვანილი თითოეული ფეხბურთელის რეგისტრაციისთვის კლუბმა გადაიხადა 15 000 ლარი. მისი აზრით, ისინი იყვნენ არაპროფესიონალები. მათგან ზოგს საერთოდ არ უთამაშია, ნაწილი გუნდიდან გაიპარა. ადგილობრივ კადრებს კი სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

საფეხბურთო კლუბ „გურიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა, **ოთარ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გუნდს ჰქონდა ფინანსური პრობლემები, ამიტომ მიმდინარეობდა სპონსორის მოძიება. ბოლოს გამოჩნდა ქობულეთელი პიროვნება, რომელმაც თავის თავზე აიღო გარკვეული ხარჯები. მოიყვანა უცხოელი ფეხბურთელები, რომელთა მაქსიმალური ხელფასი შეადგენდა 2 000 ლარს. გუნდს ჰქონდა მხოლოდ 3 ფეხბურთელის დარეგისტრირების უფლება. დანარჩენი ლეგიონერების რეგისტრაციაში სპონსორმა გადაიხადა 60 000 ლარი. სპონსორმა ბაზის მოსაწყობად შეიძინა სხვადასხვა

ინვენტარი და გასწია გარკვეული ხარჯები. მან მოიწვია ადგილობრივი ფეხბურთელები და მოიყვანა მწვრთნელი, რომელმაც დააკომპლექტა გუნდი.

დეპუტატი **გოგი მორჩილაძე** დაინტერესდა, სპონსორი რატომ ჩამოიყვანეს, როცა ბიუჯეტიდან ხდებოდა ხელფასის გადახდა და სხვა თანხების გამოყოფა. მან ზაზა ურუშაძეს შეახსენა დანაპირები, რომ მისი გამგებლად ყოფნის პერიოდში გუნდი უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებოდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** გულისტკივილი გამოთქვა, რომ მისი დაპირების მიუხედავად, გუნდი მაინც გავარდა. მან აღნიშნა, რომ გამგებლად მოსვლისთანავე დაიწყო „გურია“-სთან მუშაობა. მცდელობამ შედეგი გამოიღო და გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა. პირველ ეტაპზე კლუბი ფლობდა ძალიან მცირე თანხას, დაახლოებით 400 000 ლარს. ამასთან, ბანკებიდან იყო გამოტანილი კრედიტები, რომელთა ნაწილი დღესაც დაუფარავია. გუნდს არ ჰქონდა სტადიონი და ზაზა. დასახმარებლად მიმართეს ბიძინა ივანიშვილს. მან გუნდს დაახლოებით 400 000 ლარი გადასცა. მოძიებულ იქნა კიდევ 100 000 ლარი. ამ თანხებით შეძლებიდა გვარად მოეწყო სტადიონი და ზაზა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კუთვნილი 5,5 ჰექტარი მიწა მუნიციპალიტეტს გადმოეცა. ფონდის შექმნის შემდეგ გუნდის დაფინანსება მუნიციპალიტეტს აღარ შეეძლო. სპონსორის ფულის გარდა ფონდი და ხაზინა სხვა თანხას არ ატარებდა. გამგებელმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ დაშვებულ იქნა გარკვეული შეცდომები, რაზეც ყველამ უნდა აგოს პასუხი და შესაბამისად, ისიც არ გაურბის თავის წილ პასუხისმგებლობას. ამჟამად კლუბში შესულია ანტიკორუფციული სამსახური. მან დეპუტატებს მიმართა წინადადებით, რომ საკრებულოში შეიქმნას 4-5 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელიც კლუბში შეამოწმებს ყველანაირ დოკუმენტაციას და თუ ვინმეს ექნება რაიმე სახის გადაცდომა, პასუხიც შესაბამისად მოეთხოვება.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელს ხალხისგან მინიჭებული აქვს გარკვეული ლეგიტიმაცია, მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს მას, მხოლოდ ფეხბურთის სასარგებლოდ განკარგოს ბიუჯეტი. მან გულისტკივილი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ფონზე ისედაც მწირი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 11 % საფეხბურთო კლუბ „გურია“-ს დაფინანსებას მოხმარდა. დეპუტატი დაინტერესდა, სად და როგორ დაიხარჯა გამოყოფილი თანხები. მისი აზრით, გუნდის მიერ ასეთ წარუმატებლობა გარკვეულ წილად გუნდის პრეზიდენტის შეცდომაა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გუნდის პრეზიდენტს დებულების მიხედვით არ აქვს უფლება ჩაერიოს ფინანსურ საქმიანობაში. მას მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს, რათა ფეხბურთელმა დაინახოს, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი დაინტერესებულია ფეხბურთით. გუნდს ყოველთვის დაჭირდება გარკვეული თანხის გამოყოფა. 1 000 000 ლარი უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდისთვის დიდი თანხა ნამდვილად არაა. მას რომ კლუბისთვის არ მიეხედა, ის უმაღლეს ლიგაში ერთ წელსაც ვერ გაძლებდა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ წარუმატებელი მწვრთნელები გუნდიდან

აუცილებლად უნდა წასულიყვნენ, რაზეც დეპუტატებმა უკმაყოფილება გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ წარმატებული მწვრთნელები, როგორც თემურ ლორია და დავით მახარაძე იყვნენ, გუნდიდან გაუშვეს.

საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა, **თენგიზ კიკვაძემ** აღნიშნა, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კლუბს ჰქონდა 890 000 ლარის დავალიანება, აქედან 200 000 ლარი იყო სახელფასო, 137 000 ლარი - პრემიალური, ხოლო 550 000 ლარი - მომწოდებლის მიმართ არსებული დავალიანება. მათ შორის - 377 000 ლარი, ბანკის ვალი.ის კლუბში მოვიდა 2015 წლის 1 ივნისს. ამ დროისთვის გუნდს მიღებული ჰქონდა 1 066 000 ლარი, საიდანაც 258 000 ლარი ძველი დავალიანების გასტუმრებას მოხმარდა. დანარჩენი თანხით, კი დაფინანსდა წლის პირველ ნახევარში გუნდის გამოსვლა. 2016 წლის 1 იანვრისთვის ვალი 874 000 ლარი იყო, კლუბმა მიიღო დაფინანსება 1 250 000 ლარი, აქედან 100 000 ლარი სტადიონს მოხმარდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, გამოყოფილი 1 250 000 ლარი გუნდისთვის მცირე თანხას წარმოადგენდა თუ არა. ამასთან დაკავშირებით კლუბ „გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა თენგიზ კიკვაძემ განაცხადა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაძლებლობის ფარგლებში მოხდა ფინანსების გამოყოფა, თუმცა უმაღლესი ლიგისთვის ეს თანხა ძალიან ცოტაა. ამჟამად 614 000 ლარი დავალიანებაა. ფონდი კლუბს ძველი ვალების გასტუმრების უფლებას არ აძლევს. ამდენი ხნის მანძილზე გუნდმა პირველად აიღო ლიცენზია. თანამშრომლების რაოდენობა 93 - დან 59 - მდე შემცირდა. აქედან, 18 სალიცენზიოდ აუცილებელი თანამდებობაა. თენგიზ კიკვაძემ ასევე აღნიშნა, რომ მათ გადმოეცათ გრიგოლეთის ბაზაზე ნარჩენი ქონება - სამშენებლო მასალა. მოწვეულ იქნა აუდიტი, რომელმაც იგი შეაფასა 7 900 ლარად. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ქონება ელექტრონულ აუქციონზე თითქმის 4 -ჯერ ძვირად, 27 000 ლარად გაიყიდა. ეს თანხა მთლიანად კლუბს მოხმარდა. მიუხედავად დიდი გამოცდილებისა, სწორედ ეს იყო მის მიერ დაშვებული შეცდომა, რადგან მუნიციპალიტეტის ქონების გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, ფინანსურ დირექტორის დაკითხვა ანტიკორუფციული სამსახურის მიერ ხუთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის კლუბში არსებულ ყველანაირ დოკუმენტაციას. თუ ადგილი ექნება თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, ის მზად არის აგოს პასუხი და დატოვოს თანამდებობა. იქვე დაამატა, რომ სრულიად აცნობიერებს მის პასუხისმგებლობას, მაგრამ დაუმსახურებელ ბრალდებებს ნამდვილად არ მიიღებს.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ყოველთვის უჭერდა მხარს ადგილობრივი ბიუჯეტიდან კლუბ „გურია“-სთვის თანხის გამოყოფას, რადგან ფეხბურთს ნამდვილად ჭირდება ფინანსები. სამწუხაროდ, გუნდი ამ მდგომარეობამდე ცუდმა მენეჯმენტმა მიიყვანა. არ შეიძლება ფეხბურთში პოლიტიკის გარევა. მან აღნიშნა, რომ დიდი ხნის მანძილზე ითხოვდნენ საკრებულოს წევრები სპონსორთან შეხვედრას, მაგრამ - ამაოდ. დეპუტატი დაინტერესდა, ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ კლუბმა ლიცენზირება ვერ გაიარა, რის გამოც 50 000 ლარით დაჯარიმდა. 40 000 ლარი იქნა გადახდილი

უკანონოდ მოხსნილი მწვრთნელებისთვის, ხოლო 55 000 ლარი ვერ მიიღო ბავშვთა ფეხბურთმა გუნდის ლიცენზიის არქონის გამო. ამასთან, რატომ იყვნენ პლეი - აუტამდე ფეხბურთელები გათბობისა და საკვების გარეშე, რატომ გაფუჭდა ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობა, როცა მათი მხარდაჭერა გუნდისთვის აუცილებელია.

საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა, **თენგიზ კიკვაძემ** განაცხადა, მისი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ 7 900 ლარის ქონება, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, 27 000 ლარად გაიყიდა და ეს თანხა მთლიანად კლუბს მოხმარდა. მან კითხვით მიმართა ექს-გამგებელ გიორგი გოგუაძეს - მისი გამგებლობის პერიოდში რამდენი შენობა დაიშალა და არც ერთი თეთრი არ შესულა ადგილობრივ ბიუჯეტში. რატომ დაიხარჯა ბიუჯეტის კუთვნილი 850 000 ლარი სტადიონის დასაშლელად, ხოლო 1 800 ტონა ჯართი - ჩაბარებულ იქნა. ამასთან, მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ლანჩხუთში ვიზიტის წინ, 98 000 ლარი იქნა გადახდილი სტადიონზე უფუნქციო „ვიშკების“ შესაღებად.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** განაცხადა, რომ სტადიონი არავის დაუნგრევია, პირიქით, უნდა გაკეთებულიყო ახალი, რომლის მაკეტიც გამგებლის კაბინეტში დევს. რაც შეეხება ჯართის დატაცებას, ამის თაობაზე პროკურატურას პირადად მიმართა. „ვიშკების“ გადაღებვა კი, დეპუტატის აზრით, მართლაც გაუმართლებელია, მაგრამ ეს ვილაცის ახირებული იდეა იყო. მან აღნიშნა, რომ კარგად ესმის გამგებელ ზაზა ურუშაძის, რადგან ის „გურია“-ს დაფინანსებაზე უარს ვერ იტყოდა. მისი აზრით, ყველაზე დიდი დანაშაული ფეხბურთში პოლიტიკის ჩართვაა. წესით, პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. წარმატებული მწვრთნელი, თემურ ლორია გუნდიდან გაუშვეს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კახა ებრალიძეს კი მიტინგებს უწყობდნენ. თავის დროზე ყველას უნდა გადაენაწილებინა პასუხისმგებლობა.

დეპუტატმა, **გოგი მორჩილაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა, რომ კლუბში გატარებულმა ცუდმა მენეჯმენტმა ჩააგდო გუნდი ასეთ მდგომარეობაში. მისი აზრით, ასეთი მენეჯმენტის შედეგად, 2 500 000 ლარით რომ ყოფილიყო კლუბი დაფინანსებული, მაინც გავარებოდა უმაღლესი ლიგიდან.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივ პროფესიონალ კადრს ხელს არავინ კრავს, მაგრამ ზოგი მათგანი არ იყო მზად უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ. ისინი კი, ვინც გუნდს მართლა გამოადგებოდა, საზღვარგარეთ წავიდნენ, ან ისეთ ქართულ კლუბებში გადავიდნენ, სადაც მეტი ანაზღაურება შესთავაზეს. ვერავინ აიძულებს ფეხბურთელს შედარებით დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ ითამაშოს გუნდში.

საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფინანსურმა დირექტორმა, **თენგიზ კიკვაძის** აზრით, კლუბი ამ სავალალო მდგომარეობამდე მენეჯმენტში დაშვებულმა შეცდომებმა მიიყვანა. ის სრულიად აცნობიერებს შექმნილ სიტუაციას და მზად არის დატოვოს თანამდებობა. მისმა ასეთმა განაცხადმა დეპუტატებში ხმაური გამოიწვია. მათი აზრით, ფინანსური

დირექტორი არ უნდა იღებდეს სხვის წილ პასუხისმგებლობას თავი თავზე, რადგან ყველამ შესაბამისად უნდა აგოს დაშვებულ შეცდომებზე პასუხი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე სარიშვილის** აზრით, კლუბში განვითარებულ მოვლენებზე ფინანსური დირექტორი ცალსახად არ უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას. მან აღნიშნა, რომ 1 250 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი თანხაა. გუნდის მესვეურებიდან იყო მოთხოვნა 2 250 000 ლარზე და ამ თანხით ისინი საპრიზო ოთხეულში გავიდოდნენ, ხოლო 1 250 000 ლარით გუნდი ადგილს შეინარჩუნებდა უმაღლეს ლიგაში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა მიზნად არ ისახავს ვინმეს დაჭერას, არამედ ბოლოსდაბოლოს უნდა გაირკვეს, რამ გამოიწვია გუნდის გავარდნა. ის ყოველთვის მხარს უჭერდა კლუბისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას. „გურია“ ეს არის ბრენდი და ძალიან გულსატკეპია, რომ დღეს ასეთ მდგომარეობაშია. მომხდარზე ყველამ უნდა აგოს პასუხი და ბოდიში მოუხადონ ლანჩხუთის საზოგადოებას. ისინი ხომ წლების განმავლობაში ასე გულშემატკივრობდნენ და მხარში ედგნენ მას. ამასთან, ყველას უნდა მიეცეს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, „გურია“-ს წარმატებისთვის უდავოდ ესაჭიროებოდა საკმაოდ დიდი თანხები, რადგან ფეხბურთი ძვირადღირებული სპორტია. მაგრამ 2013 წელს გუნდი მიზერული თანხით მე-3 ადგილზე გავიდა და ასე დაამთავრა პირველი წრე. როდესაც კლუბში გამგებელი მოვიდა პრეზიდენტად, გუნდი მე-6 ადგილზე იყო. დეპუტატის აზრით, ნამდვილად მაღლობის ღირსია ის ადამიანები, ვინც გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. ასევე, ქალბატონი მარინა თოთლაძე და ზოგადად, მირზაშვილების ოჯახი. ამასთან, საკრებულოს წევრსაც მიუძღვის მცირეოდენი წვლილი „გურია“-ს მაშინდელ წარმატებაში. მიუხედავად ამისა, საკრებულოს მიერ 2016 წლის ისედაც მწირი ბიუჯეტიდან კლუბისთვის სოლიდური თანხის გამოყოფისთვის, პირადად მას მხარი არ დაუჭერია. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ დატოვა გამგებელმა კლუბის პრეზიდენტობა მაშინ, როცა გუნდს პრობლემები შეექმნა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, როგორც გამგებელი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ა(ა)იპ-ებს და მათ, შორის ფეხბურთს. კლუბის პრეზიდენტი კი სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და არ ერევა ფინანსურ საქმიანობაში. რადგან გუნდს ჰყავს 3 დირექტორი შესაბამის დარგებში, ამიტომ აგვისტოს თვიდან გამგებელმა აღარ ჩათვალა საჭიროდ დარჩენილიყო კლუბში პრეზიდენტის თანამდებობაზე. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციაში შესაბამისი კონსულტაციებიც კი გაიარა. რაც შეეხება ფინანსებს, აღნიშნულ სეზონზე ყველა ხარჯი გასტუმრებულ იქნა.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ითხოვდა დაახლოებით 2 მილიონ ლარს, მაგრამ სხვა

გუნდებმა ამაზე გაცილებით ნაკლებით თანხით შეძლეს და ადგილი შეინარჩუნეს უმაღლეს ლიგაში. საფეხბურთო კლუბისთვის საკრებულოს ხელი არასდროს შეუშლია. პირიქით, ყოველთვის მხარში ედგა. დეპუტატმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ გაკეთდა გრიგოლეთის ბაზა, რაც უდავოდ აუცილებელია გუნდისა და მუნიციპალიტეტისთვის, მაგრამ 5 წელია, რაც სუფსაში არ არის საბავშვო ბაღი.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ბავშვთა სკოლებსა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. უკვე დროა ადგილობრივ კადრებს მიექცეს სათანადო ყურადღება და საფეხბურთო კლუბი „გურია“ გახდეს მათი საბაზო გუნდი. მოჰყავთ უცხოელი ფეხბურთელები, რომლებიც წარუმატებლები არიან, ხოლო ადგილობრივი ფეხბურთელები ხვდებიან დუბლებში და როგორც ფეხბურთელები, ვეღარ ვითარდებიან. მათი ნაწილი კი საერთოდ მიდის სპორტიდან. დეპუტატის აზრით, უნდა შეიქმნას მოდელი, რომლითაც კლუბში წამყვანი როლი ადგილობრივ მოთამაშეებს მიენიჭებათ და არა ლეგიონერებს. მათ ჩამოსაყვანად სოლიდური თანხები საჭიროა, გუნდი კი წარმატებებს მაინც ვერ აღწევს.

გურიის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, **კახა ებრალიძემ** აღნიშნა, რომ ფეხბურთში ფული ყველაფერს არ წყვეტს, არამედ მთავარია ურთიერთობები, საქმისადმი ადამიანური და პროფესიონალური მიდგომა. მან აღნიშნა, რომ თბილისის „დინამო“-ს გაცილებით მეტი ფინანსური შესაძლებლობა აქვს, სოლიდურ თანხას ხარჯავს, მაგრამ მაინც სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. სამწუხაროდ, გურიის ფედერაციის კარები დღემდე გამოკეტილია. მისი პრეზიდენტად ყოფნის დროს გუნდი ლიცენზიის გარეშე თამაშობდა. არ შეიძლება ფინანსებს ერთი პიროვნება განაგებდეს, არამედ უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც გააკონტროლებს თანხების მიზნობრივ ხარჯვას. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა და თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ საჭიროა სპონსორის საკითხს დიდი სიფრთხილით მოეკიდონ. ყველას, ვინც სურვილი გამოთქვა კლუბში მოსულიყო, უნდოდა ბაზას დაპატრონებოდა. მან მაღლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ კლუბს ბაზა შეუნარჩუნა. მან აღნიშნა, რომ აქვს ინფორმაცია სპონსორთან დაკავშირებით. ნამდვილად მისასალმებელია მერაბ ჟორდანიას მიერ გამოთქმული სურვილი, დაეხმაროს გუნდს, რადგან მას ფეხბურთისთვის ძალიან ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, მაგრამ ცოტა ადრე რომ დადგომოდა კლუბს გვერდით, ის უმაღლესი ლიგიდან არ გავარდებოდა. ახლა, კი ყველამ ერთად უნდა მოძებნოს გამოსავალი და დაისახოს სამომავლო გეგმები, რათა გუნდი პირველი ლიგიდანაც არ გავარდეს, რადგან ამ ლიგაშიც სერიოზული კლუბები თამაშობენ.

დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ფეხბურთის სიყვარულმა გააერთიანა ოპოზიცია და პოზიცია. მან, როგორც ერთ-ერთმა რიგითმა დეპუტატმა, მხარი დაუჭირა 2015 - 2016 წლების ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხის გამოყოფას საფეხბურთო კლუბისთვის, რადგან „გურია“ არის ბრენდი და ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს ასეთ სავალალო მდგომარეობაშია. უნდა გაირკვეს, რა შეცდომები იქნა დაშვებული გუნდის მართვასა და ფინანსების განკარგვაში, მაგრამ ასევე, აუცილებლად მოსაძებნია გზები ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად. მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის

გარკვეული ნაწილი იმყოფება მძიმე სოციალურ პირობებში და საჭიროებს ადგილობრივი ხელისუფლებიდან დახმარებას, ადგილობრივი ბიუჯეტიდან საფეხბურთო კლუბი დაფინანსდა საკმაოდ დიდი თანხით. დეპუტატი არ ნანობს კლუბისთვის თანხის გამოყოფას, მაგრამ მისი აზრით, საკრებულოს, განსაკუთრებით კი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას უფრო ღრმად უნდა ჩაეხედათ აღნიშნულ საკითხში. ის გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას, რადგან თავად გახლავთ ამ კომისიის წევრი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** დეპუტატ ელისო ჭიჭინაძის გამოსვლასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომებზე ყოველ სამ თვეში ხორციელდებოდა საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა და კომისიის მიერ კეთდებოდა შესაბამისი დასკვნა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სპონსორთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დაეკითხონ ლანჩხუთელ საზოგადოებას და გაითვალისწინონ მათი აზრი. ამასთან, მან „გურია“-ს ბაზის შენარჩუნებისთვის მადლობა გადაუხადა გამგებელს და აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ყველასთვის, რადგან ეს არის მუნიციპალური სპორტული ბაზა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეხმაურება კახა ებრალიძის გამოსვლას. ფეხბურთში მხოლოდ ფული არაა მთავარი, არამედ, ადამიანური ურთიერთობები განსაზღვრავს ბევრ რამეს. მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, აუცილებელია ამ ურთიერთობების შენარჩუნება. რაც შეეხება სპონსორს, მერაბ ჟორდანიასგან არის დაპირება, რომ გუნდს ყველანაირად დაუდგება გვერდით და დააბრუნებს უმაღლეს ლიგაში. სპონსორის შესახებ ერთობლივად უნდა იქნას მითებული გადაწყვეტილება. ამასთან, მან აღნიშნა, რომ 27 დეკემბრისთვის კლუბმა უნდა გაიაროს ლიცენზირება, რისთვისაც მიმდინარეობს გარკვეული პროცესები, რომელთა ჩაშლის შემთხვევაში, გუნდი ვერ მიიღებს ლიცენზიას და შესაბამისად, პირველ ლიგაშიც ვეღარ ითამაშებს.

დეპუტატი **აკაკი იმნაიშვილი** დაინტერესდა, თუ რამდენი ხანია მიმდინარეობს მერაბ ჟორდანიასთან მოლაპარაკებები კლუბის სპონსორობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თუ შესაძლებელი იყო, აქამდე მოეყვანათ ეს პროცესი, რომელიც შესანიშნავად ერკვევა ფეხბურთის საქმეებში. გუნდი არ გავარდებოდა უმაღლესი ლიგიდან და ასეთ სავალალო სიტუაცია არ შეიქმნებოდა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** აზრით, კლუბის ხელმძღვანელების მიერ ნამდვილად არის გარკვეული შრომა და წვალება გაწეული, მაგრამ უშედეგოდ. დაშვებულია შეცდომები, რომელთა გათვალისწინება და გამოსწორება აუცილებელია.

გუნდის დუბლებს არანაირი პირობები არ აქვთ. ადგილობრივი ჭაბუკები სხვა კლუბებში არ უნდა თამაშობდნენ. უდავოდ საჭიროა კლუბში მოვიდეს სპონსორი, რომელიც გაატარებს სერიოზულ, მიზანმიმართულ ღონისძიებებს როგორც ფინანსური, ასევე მენეჯმენტის კუთხით და გადაარჩენს გუნდს.

ფეხბურთის კლუბის გულშემატკივართა ხელმძღვანელმა, **ჯანო ქინქლაძემ** გულისტკივილი გამოთქვა შექმნილი სიტუაციის გამო. მან აღნიშნა, რომ ფული არაა მთავარი. ევროპის ქვეყნებში შედარებით მცირე ბიუჯეტის გუნდებიც ხდებიან ქვეყნის ჩემპიონები. მართალია, სათქმელი ბევრია, მარგამ ამ ეტაპზე აუცილებელია ყველას ერთად დგომა, გაერთიანება გამოსავლის მოსაძიებლად. მთავარია დაისახოს სწორი მიმართულება, თუ რა უნდა გაკეთდეს ხვალ, რათა გუნდი გადარჩეს და იბრძოლოს შემდგომი წარმატებებისთვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვისის მენეჯერის მოადგილე **ნუგზარ ცინცაძემ** ითხოვა სიტყვით გამოსვლის უფლება, რაზეც დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ფეხბურთის და პოლიტიკის გამიჯვნა. ის შემოვიდა ინიციატივით, რომ მერაბ ჟორდანიას მოწვეულ იქნას საკრებულოში, რათა მასთან მოლაპარაკებისა და მსჯელობის შემდეგ იქნას მიღებული კლუბთან დაკავშირებით გარკვეული გაწყვეტილება. ამასთან, ადამიანები, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიონალებს ფეხბურთთან მიმართებაში, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, უნდა დაბრუნდნენ კლუბში და შესაბამისად დასაქმდნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მოსმენილ იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს ხელმძღვანელობის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. მიუხედავად მათ მიერ დასახელებული არგუმენტებისა, კლუბის მიერ მიმდინარე სეზონში დაფიქსირებული შედეგიდან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარეს სამართლიანად მიაჩნია კლუბის ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები. ამიტომ მან დეპუტატებს შესთავაზა საკრებულოს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საკრებულომ შეიმუშაოს შემდეგი რეკომენდაციები:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს ხელმძღვანელობის საქმიანობა შეფასდეს უარყოფითად;
2. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს საფუძვლიანად შეისწავლოს კლუბის ხელმძღვანელობის თანამდებობაზე დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი;
3. მუნიციპალიტეტის გამგებელმა არაუგვიანეს 2017 წლის იანვრის ბოლოს, საკრებულოს წარმოდგინოს ინფორმაცია კლუბში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ, ასევე ამავე ვადაში გააცნოს სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე კლუბის ფინანსური დირექტორის, თენიზ კიკვაძის მხრიდან არაერთხელ

ჰქონდა საკრებულოს მიმართ თხოვნას ადგილი კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის გუნდში არსებულ ფინანსურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარემ შესთავაზა დეპუტატებს, შემდგარიყო გარკვეული ჯგუფი, რომლის მუშაობაში აუდიტის სამსახურთან ერთად, ისინიც მიიღებენ მონაწილეობას. ასეთი ჯგუფის მუშაობაში ჩართვაზე დეპუტატებმა უარი განაცხადეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა წარმოდგენილ რეკომენდაციებს:

მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო